AMBASSADORI

საქართველო, ქალაქი ბათუმი, სულიკო ჟღენტის ქუჩა, N6, ს.კ. 445601126/
infoislandbatumi@ambassadori.com

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

N8/72 12.08.2024

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გამოგზავნილი 2024 წლის 2 აგვისტოს N21/8202 წერილის პასუხად გვსურს გაგაცნოთ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ პოზიცია ბათუმის ორი ნახევარკუნძულის/ერთი კუნძულის შპს „ტერმინალ-1“-ის კუთვნილი ნავთობტერმინალთან შემხებლობასთან დაკავშირებით. ასევე, წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამნისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოდგენილ 2024 წლის 12 აგვისტოს № 17/5826 წერილობით კორესპოდენციას დანართებით - 7 ელექტრონული ფაილი. აღნიშნული კორესპოდენციებით მარტივად დგინდება, რომ ბათუმის ორი ნახევარკუნძულის/ერთი კუნძულის პროექტს არა აქვს შემხებლობა შპს “ტერმინალი-1”-ის ტერიტორიასთან.

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ 2024 წლის 17 ივნისის N6045 წერილით გზშ-ს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი შპს “ტერმინალ-1-ის“ უნაპირო ნავმისადგომის ალტერნატიული ნახაზი მოწოდებული იქნა ამავე ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ 2024 წლის 17 აპრილს. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“, სწორედ, აღნიშნული ნახაზი, ყოველგვარი დამატებითი ცვლილებების გარეშე, დაურთო წარმოდგენილ გზშ-ს მასალებს. იმ შემთხვევაში თუ შპს „ტერმინალი-1“ არ ეთანხმება თავისივე წარმოდგენილ და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდთან“ შეთანხმებულ უნაპირო ნავმისადგომის ნახაზებს, აღნიშნულზე ჩვენი კომპანია ვერ აიღებს პასუხისგებლობას.

რაც შეეხება შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ დამატებით წარმოდგენილ 2024 წლის 31 ივლისის N22764 წერილს და ამავე ორგანიზაციის მითითებით საერთაშორისოდ აღიარებულ საპროექტო კომპანია შპს „ანკორ ინჟინერინგის“ წინასწარ შეფასებასა და რისკებს,

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„12“ 08 2024
№ 8173

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაცია არცერთი კრიტერიუმით არ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტატუსის მატარებელ იურიდიულ პირს. შპს „ანკორ ინჟინერინგი" რეგისტრირებულია უკრაინაში (იხ. ვებსაიტი: http://ankor-cryoproject.com/ ООО «Анкор-Инжиниринг Украина» ул. Военный спуск, 24 65082, Одесса, Украина). კომპანიის ვებსაიტი სტრუქტურულიზებულია მხოლოდ რუსულ ენაზე. ვებსაიტზე გაკეთებული ოფიციალური განმარტებით აღნიშნული კომპანია კლიენტებს სთავაზობს საინჟინრო და საწარმოო სერვისების სრულ სპექტრს ჰაერის გამოყოფის პროდუქტების წარმოების შექმნის, რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისთვის და ტექნიკური აირების წარმოებისთვის (ჟანგბადი, აზოტი, არგონი, ნახშირორჟანგი). რაც შეეხება ხომალდების უსაფრთხო გადაადგილებას და მარშრუტის დადგენას, აშკარად, არ წარმოადგენს შპს „ანკორ ინჟინერინგი"-ის ოფიციალურ ვებსაიტზე გაცხადებულ საქმიანობის მიმართულებას.

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის" პოზიციით ბათუმის ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის/ერთი კუნძულის პროექტი შპს „ტერმინალ-1"-ის ტერიტორიას და ღია ზღვაში გემების მოძრაობას არავითარ საფრთხეს არ უქმნის, ვინაიდან, ის მოშორებულია ტერმინალის გემის მოძრაობის და მობრუნების მარშრუტს.

საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე საზღვაო ტრანსპორტის გადაადგილების მარშრუტს და მასზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო". შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი" სრულ მზადყოფნას გამოხატავს იმოქმედოს სახელმწიფო უწყებების მიერ გამოხატული რეკომენდაციების შესაბამისად.

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა" კეთილსინდისიერად შეასრულა სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს" მიერ გზშ-ს ფარგლებში გამოხატული შენიშვნა სანაპირო კონსტრუქციების დეტალური ჰიდროტექნიკური ნაგებობების და ნაპირის სიახლოვეს არსებული ტალღების ანალიზის კომპეტენტური ორგანიზაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, რაც დადასტურებულია ამავე ორგანიზაციის 2024 წლის 1 მაისის № 01.01/805 წერილით და წარმოდგენილია სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში".

რაც შეეხება შპს „ტერმინალ-1"-ის მითითებას სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით, მსგავსი მითითება წარმოადგენს, აშკარად, საფუძველს მოკლებულს, ვინაიდან, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ"-ის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს.კ. 05.30.38.037) და შპს „ტერმინალ-1"-ის სარგებლობაში არსებულ საკადასტრო ტერიტორიას (ს.კ. 05.29.01.020) სახმელეთო კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან და შუაში მოქცეულია ზღვა და მდინარე, რაც იმთავითვე გამორიცხავს ხანძრის გავრცელებას კუნძულის ტერიტორიაზე.

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 257-ე დადგენილების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ" ქვეპუნქტის შესაბამისად ბათუმის მშენებარე ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის/ერთი კუნძულის მოწყობა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები სარგებლობს განსაკუთრებული ობიექტის სტატუსით. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისათვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბერის დადგენილება №497 1-ლი პუნქტის თანხმად

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №05.30.38.037 (მშენებარე ორი ნახევარკუნძული/ერთი კუნძული), №05.30.37.035 (მიმდებარე ტერიტორია) და №05.30.37.036 (მიმდებარე ტერიტორია), ტურისტული-ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, მიენიჭა განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორიის განვითარება სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული ინტერესის მატარებელია.

რაც შეეხება საკადასტრო კოდ №05.30.37.035-ზე მიმდინარე მიწის წარმოქმნის სამუშაოებთან დაკავშირებით გამოხატულ შპს „ტერმინალ 1-ის" პრეტენზიას, აღნიშნულ ტერიტორიაზე სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს" 2022 წლის 23 აგვისტოს № 147-04 ბრძანებით დამტკიცდა ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარედ, შავი ზღვის აკვატორიაში ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის/ერთი კუნძულის მოწყობასთან დაკავშირებული ნაპირსამაგრი ჯებირის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს" მიერ 2022 წლის 1 სექტემბერს გამოიცა ბრძანება № 150-04 ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარედ, შავი ზღვის აკვატორიაში ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის/ერთი კუნძულის მოწყობასთან დაკავშირებულ ნაპირსამაგრ ჯებირზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. 2024 წლის 9 აგვისტოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის № 153-04 ბრძანებით ცვლილება შევიდა სანებართვო მოწმობაში და მისი მოქმედება გაგრძელდა 2025 წლის 14 ნოემრის ჩათვლით. აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამისად შპს "ამბასადორი ბათუმი აილენდის" მიერ მოწყობილია 8 ჰექტრამდე ხელოვნურად განაშენიანებული ტერიტორია. შესაბამისად, მშენებლობა მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით.

დასასრულს, ბათუმის ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის/ერთი კუნძულის ისტორიული პროექტის მშენებლობა და განვითარება წარმოადგენს შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის" მიერ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან" 2021 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირდაპირ ვალდებულებას. ამ ხელშეკრულებით ინვესტორი კომპანია ვალდებულია ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარედ 1443223.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.30.38.037) ააშენოს ორ ნახევარკუნძული/ერთი კუნძული და მასზე განავითაროს თანამედროვე ინფრასტრუქტურა. პროექტში ხორციელდება არანაკლებ 100 000 000 (ასი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიცია. კოლიერსის ლონდონის და თბილისის ოფისების მიერ განხორციელებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესაბამისად აღნიშნული ტერიტორიის შედეგად წლიურად მოხდება 64 000 000 (სამოცდაოთხი მილიონი) აშშ დოლარის გადასახადების აკუმულირება სახელმწიფო ბიუჯეტში, დასაქმდება არანაკლებ 7000 (შვიდი ათასი) მოქალაქე. ბარცხანისა და ბენზეს უბნების მოსახლეობა სრულ მხარდაჭერას უცხადებს პროექტს, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის განაშენიანების შედეგად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მნიშვნელოვან წყაროს. მათ შორის, ერთ-ერთი ასეთი გაფართოებული შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა 2024 წლის 22 ივლისს, სადაც ქ. ბათუმის საკრებულოს წევრების ჩართულობით განხორციელდა პროექტის პრეზენტაცია. ახლო

პერიოდში ბათუმის საკრებულოსთან იგეგმება ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება ბათუმის ორ ნახევარკუნძულზე/ერთ კუნძულზე ადგილობრივი მოსახლეობის საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფისა და დასაქმების სფეროში პრიორიტეტის მინიჭებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კომპეტენციის ფარგლებში შეთანხმების საკითხს, დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ წერილებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ პოზიციაა, რომ შპს „ტერმინალი-1“ მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არის საფუძველს მოკლებული და გადაჭარბებული. შესაბამისად, გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოების გაგრძელება და გამოსცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართები:

დანართი N 1. ნაპირდამცავი ჯებირის მშენებლობის - 2 (ორი) გვერდად;
დანართი N 2. საქართველოს აკონომიკის და მდგრადი განვითარების სამნისტროს 2024 წლის 12 აგვისტოს № 17/5826 წერილობითი კორესპოდენცია დანართებით - 7 ელექტრონული ფაილი - 12 (თორმეტი) გვერდად და 1 (ერთი) ZIP ფაილი.
იხილეთ დანართი.

პატივისცემით,

გოჩა კამკია ----------
დირექტორი